ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3915096

ნომერი: AR1546324

თარიღი : 11.10.2017

გაცემის თარიღი : 17.04.2018

გაცნობის თარიღი : 17.04.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 / ქალაქი თბილისი , ალ.ყაზბეგის გამზირი N34 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , (ნაკვეთი N40/226) / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ცინცაძე პ/ნ 01008005267
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. 34

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 11 ოქტომბრის AR1546324 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.381; საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.310) სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას,

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე (ს/კ.:01.14.03.040.310) სამშენებლოდ გამოყენების პირობები დადგენილია 2013 წელს ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად. ვინაიდან დღეს დღეობით შეცვლილია საკანონმდებლო მოთხოვნები და კანონმქვემდებარე აქტები, სამსახური, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიიჩნევს მომიჯნავე საკადასტრო ერთეულისთვის (ს/კ.:01.14.03.040.381) დადგინდეს ახალი სამშენებლოდ გამოყენების პირობები დღეს მოქმედი კანონმდებლობის შეაბამისად.
დამატებით, დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების შესაბამისად საცხოვრებელი ზონა 6-ისთვის დადგენილ პარამეტრებსა და დასაშვები და საგამონაკლისო სახეობების ჩამონათვალს.
აქედან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას 2013 წლის 25 თბერვლის №544094 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების თაობაზე.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.